№93 2016 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის პირველ აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ხვამლს“ შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი - „ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის პირველ აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, შპს „ხვამლის“ მიერ სამშენებლო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შპს „ხვამლის“ მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტიის (5 500 აშშ დოლარის ოდენობით) დაბრუნება.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული წინასამშენებლო საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**